ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 157

"14" ნოემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის
და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის
საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა 2014 წლის 13 ნოემბერს N04/16872 წერილით მომართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,მ'' ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა დანართის შესაბამისად.
2. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი

შიდა აუდიტის და მონიტორინგის საქალაქო სამსახური

№	თანამდებობა	რაოდენობა
1	სამსახურის უფროსი	1
2	უფროსის მოადგილე	2
3	მრჩეველი	1
4	თანაშემწე	1
5	მთავარი სპეციალისტი	1
	<u>შიდა აუდიტის სამმართველო</u>	
1	სამმართველოს უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	7
	<u>ანალიტიკური სამმართველო</u>	
1	სამმართველოს უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	3
3	წამყვანი სპეციალისტი	1
	<u>მონიტორინგის სამმართველო</u>	
1	სამმართველოს უფროსი	1
2	მთავარი სპეციალისტი	3
3	წამყვანი სპეციალისტი	1
1	მძღოლი	1
	<u>სულ</u>	25